ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01243651965**
თარიღი: **30/12/2024**

ადრესატი: მამუკა ხარაზიშვილი
პირადი ნომერი: 57001027837
მისამართი: ხაშური ს. დიდი ფლევი

თქვენი, 2024 წლის 18 ოქტომბრის N01242922714-67 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.08.487.017) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნას გაცნობებთ, რომ საკითხი მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით დასამტკიცებლად წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

დანართის სახით გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 6 ნოემბრის N24.1832.2073 განკარგულებას და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 დეკემბრის N48-96 დადგენილებას.

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 24.1832.2073
6 / ნოემბერი / 2024 წ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

ა) 2024 წლის 7 სექტემბრის N012425138-67 განცხადებით გიორგი პავლიაშვილმა (პ/ნ 01405045989) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, 300 არაგველის II ჩიხი N2-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.01.610) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება;

ბ) 2024 წლის 18 ოქტომბრის N01242922714-67 განცხადებით ნინო დაბრუნდაშვილმა (პ/ნ 01008037580) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.08.487.017) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:

ა) ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, 300 არაგველის II ჩიხი N2-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.01.610) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 19 სექტემბრის N0124263723 წერილის მიხედვით, განსახილველ ტერიტორიაზე ჯეროვანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების მიზნის გათვალისწინებით, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება მიზანშეწონილია ფაქტობრივად არსებული მდგომარეობის შესაბამისად, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ფაქტობრივ გზაზე გავრცელებით.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, N81.01.99.203, N81.01.14.004 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილსა და მათ შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ამასთან, საპროექტო ტერიტორიის მიღმა, N81.01.01.793 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, 300 არაგველის II ჩიხი N2-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.01.610) ნაწილზე, N81.01.99.203, N81.01.14.004 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილსა და მათ შორის არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ასევე, N81.01.01.793 საკადასტრო ერთეულის

მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია; ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.81.08.487.017) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

N01.81.08.487.017 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე იგეგმება მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის განთავსება. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ხე-ნარგავებისგან თავისუფალ ტერიტორიას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 29 ოქტომბრის N01243033928 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N81.08.16.400 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ხარვეზის სახით რჩება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება.

აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.81.08.487.017; N81.08.16.400) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „ე.ბ“ ქვეპუნქტებისა და „ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში, 300 არაგველის II ჩიხი N2-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.01.01.610) ნაწილზე, N81.01.99.203, N81.01.14.004 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილსა და მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ასევე,

N81.01.01.793 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება; ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.81.08.487.017; N81.08.16.400) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერი) ირაკლი ხმალაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 48-96

“ 20 ” დეკემბერი 2024 წ

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 20/03/2019, სარეგისტრაციო კოდი: 330090020.35.101.016587) და დადგენილების:

ა) პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკა (დანართი №1)” ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (თან ერთვის ცვლილების საინფორმაციო მასალა);

ბ) პირველი მუხლის „ა“ პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკა (დანართი №1.8)” ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

გ) პირველი მუხლის „ბ“ პუნქტით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის“ (დანართი №2) 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

''ა) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვრება არაუმეტეს კ-2=5.0;''

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი- რუკა (დანართი №1) მ. 1:10,563



თბილისი ჯარგად შეკავშირებული ქალაქი

მჭიდრო ქალაქი

ბუნებრივი მახასიათებლები

მწვანე ზონა

სარეკრეაციო ზონა

თბილისი მწვანე ქალაქი

თბილისი პრომპაქტური ქალაქი

პოლიცენტრული განვითარება


ლეგენდა
შემოთავაზებული ლანდშაფტურ სარეკრეაციო
შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა
შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა-1
შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა-2
შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა-3
შემოთავაზებული სატყეო ზონა
არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ)
არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1)
არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)
არსებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3)
არსებული სატყეო
ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური)
1:30,000


მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო
განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად
გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ
1:30,000

გამწვანების თემატური რუკა

საკითხი 6

ადგილმდებარეობა



დაინტერესებული პირი: მამუკა ხარაზიშვილი

დამკვეთის ინფორმაცია: ნინო დაბრუნდაშვილი

მესაკუთრე: შპს "ავიასაწვავსერვისი„

მისამართი: ქალაქი თბილისი, სოფელი დიდი ლილო

საკადასტრო კოდი : N01.81.08.487.017 ნაწილზე, 81.08.16.400-ნაწილზე

მიზნობრიობა: სამშენებლოდ განვითარება

https://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=526624&lrId=10880#/C=44.9673261-41.6934803@Z=17

განცხადების ნომერი: N01242922714-67

ფუნქციური ზონირება 2014-2018



არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტლური) ცვლილება.
ცვლილების საერთო ფართობი: 636 კვ.მ.
2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2 (სსზ-2), სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ)

ზონირების ბალანსი

საკითხი 6

არსებული ზონირება	მოთხოვნილი ზონირება
ურბანული გამწვანება (შიდა კვარტლური) (636კვ.მ)	**საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2** (სსზ-2) (636კვ.მ)

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: 2024 წლის 29 ოქტომბრის N01243033928 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია: შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

ფუნქციური ზონირების რუკა

არსებული ზონირებისა და გამწვანების ფენა



არსებული ფუნქციური ზონა რჩება უცვლელი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01242682716**
გაცემის თარიღი: **07/10/2024**

ადრესატი: შპს ეს თი ეს
საიდენტიფიკაციო ნომერი: 400234055
მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მერაბ კოსტავას ქუჩა, №60, სართული №1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა 2024 წლის 16 სექტემბრის № 0124260792-16 განცხადება, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

დაკმაყოფილდეს 2024 წლის 16 სექტემბრის № 0124260792-16 განცხადება და შეთანხმდეს ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N 01.81.08.487.017) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა თანდართულ ბმულზე არსებული დანართის შესაბამისად.

წარმოდგენილი საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა სააგენტოს მიერ შეთანხმდა იმ პირობით, რომ ტროტუარებისა და სამანქანო გზის ნაწილი, რომელიც მდებარეობს საკადასტრო საზღვრებში, დაიტვირთება საჯარო სერვიტუტით, ხოლო სერვიტუტის არეალის განსაზღვრა მოხდება ტროტუარის დასაწყისიდან ტროტუარის დასასრულამდე სამანქანო შესასვლელ-გამოსასვლელი გზის ჩათვლით.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის ცვლილება საჭიროებს შეთანხმებას სააგენტოსთან.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები იხილეთ თანდართულ ბმულზე :

https://cloud.msda.ge/index.php/s/ms84WisbVT9dHnz

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
PATROL POLICE DEPARTMENT

07/10/2024

MIA 6 24 03068260

შპს ''ეს თი ეს''-ს
ასლი: შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს

შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განხილულ იქნა თქვენი განცხადება, რომელშიც ითხოვთ, ქ. თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.81.08.487.017) საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ნაკადების მიმართულების საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის წარმოდგენილი მუდმივი სქემის შეთანხმებას.

ვითვალისწინებთ რა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ს.ს.ი.პ. ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურის (2024 წლის 7 ოქტომბრის 16-01242682716) თანხმობას შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ითანხმებს (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კუთხით) წარმოდგენილ მუდმივი მოძრაობის ორგანიზაციის სქემას, ხოლო ტერიტორიაზე მისასვლელი გზა აღიჭურვოს მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით თანდართული სქემის შესაბამისად.

დანართი: სქემა 1 ფაილად

პატივისცემით,

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი /
საორგანიზაციო სამმართველო / საგზაო მოძრაობის
ზედამხედველობის განყოფილება
განყოფილების უფროსი
ბარბაქაძე დავით

0190, თბილისი, ნოე რამიშვილის ქ. №38
№38, Noe Ramishvili St. 0190, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (+995 032) 2 41 42 42
ფაქსი/Fax: (+995 032) 2 41 85 02
E-mail: patrolinfo@mia.gov.ge

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა წარმოდგენილია გაპის ეტაპის შეთანხმების პროცესში, პროექტის შეთანხმების დროს გენ.გეგმის ცვლილების შეთხვევაში წარმოდგენილი იქნება განახლებული სქემა.



საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა

მისამართი:

ქ. თბილისი კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ (ს.კ. 01.81.08.487.017)
საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა,(გაპის ეტაპი)

თარიღი: 2024 წელი	მასშტაბი: პირობითი
დამკვეთი:	შპს"ვოლ"

შეასრულა: მიშა ტატურაშვილი
შ.პ.ს "STS" ტელ: 577-66-40-43
(Smart Transportation Solutions)
ტელ: 577 15-55-75 შეამოწმა: ვახტანგ თავდიშვილი
ტელ: 551-14-14-84

საგზაო მოძრაობის ორგანიზაციის ტექნიკური საშუალებები

- 2.1 - 3ც
- 2.3 - 3ც
- 4.1.2 - 1ც
- 4.1.4 - 1ც
- 4.1.5 - 1ც
- 5.19.1 - 12ც
- 5.19.2 - 12ც
- 8.13 - 2ც

პირობითი აღნიშვნები



შენიშვნა:
პანდუსის პარამეტრები განისაზღვრება 41-ე დადგენილების ძვითავი 406 -ის მიხედვით.

SMART TRANSPORTATION SOLUTIONS